



შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
კრედიტსერვისი +"
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
და
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2017 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	8
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	10
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	11
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	12
1. კომპანია და მისი საქმიანობა.....	12
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა.....	23
4. ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შემოღება.....	24
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	28
6. კლიენტებზე გაცემული სესხები.....	28
7. ძირითადი საშუალებები.....	29
8. არამატერიალური აქტივები.....	30
9. სხვა აქტივები.....	30
10. ნასესხები საშუალებები.....	30
11. სხვა ვალდებულებები.....	32
12. სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	32
13. მოგების გადასახადი.....	32
14. ანარიცხები.....	34
15. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	34
16. ფინანსური რისკების მართვა.....	34
17. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი.....	41
18. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება.....	43
19. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით.....	43
20. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში.....	44
21. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	44
22. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....	45



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ვის: შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +"-ის დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენს აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ფასს) შესაბამისად.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი (ქვემოთ თანხები მოცემულია ათას ლარებში თუ სხვაგვარად არ იქნება მინიშნებული)

კლიენტებზე გაცემული სესხებისა და მიღებული სესხების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები - ფასს 7- ფინანსური ინსტრუმენტები - „ახსნა-განმარტებითი შენიშვნები“-ს მე-15 და 38-ე პარაგრაფებით მოითხოვება:

- როდესაც საწარმო ფლობს უზრუნველყოფას (ფინანსური ან არაფინანსური აქტივის სახით) და მისი გაყიდვის ან გადააგირავების უფლება აქვს მაშინაც კი, თუ შესაძლებელია საკუთარ ვალდებულებებს შეასრულებს, მან უნდა გაამყავნოს: ა) ამ უზრუნველყოფის რეალური ღირებულება; ბ) ნებისმიერი ისეთი უზრუნველყოფის რეალური ღირებულება, რომელიც გაყიდა ან გადააგირავა და გააჩნია თუ არა საწარმოს მისი უკან დაბრუნების მოვალეობა; და გ) ამ უზრუნველყოფის გამოყენების ვადები და პირობები.
- როდესაც საწარმო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მოიპოვებს ფინანსურ ან არაფინანსურ აქტივებს, იმ თვალსაზრისით, რომ მის მფლობელობაში გადადის კრედიტის უზრუნველყოფა ან კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებები (მაგ., გარანტიები) და ეს აქტივები აკმაყოფილებს სხვა სტანდარტების აღიარების კრიტერიუმებს, მან საანგარიშგებო თარიღისთვის მის მფლობელობაში მყოფი ამგვარი აქტივების შესახებ უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია: ა) მიღებული აქტივების ბუნება და საბალანსო ღირებულება; და ბ) აქტივების გასხვისების ან საწარმოს საქმიანობაში გამოყენების პოლიტიკა, თუ ზემოაღნიშნული აქტივები არ არის ადვილად კონვერტირებადი ნაღდ ფულში.

კომპანია, სესხის გაცემისას, მსესხებლებისგან უზრუნველყოფის სახით იღებს სხვადასხვა ტიპის უძრავ და მოძრავ ქონებას (ოქროსა და ძვირფასეულობის ჩათვლით). ამ ქონების ნაწილი, ძირითადად, ოქრო და ძვირფასეულობა დაგირავებული აქვს აღებული სესხების უზრუნველყოფის სახით. საინფორმაციო სისტემის ნაკლოვანების გამო, კომპანია ვერ ახერხებს ფასს 7-ით განმარტებულ ზემოთ მოთხოვნილ ინფორმაციის გენერირებას, შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის წარმოებას და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას.





ჯარიმების სახით მიღებული შემოსავლების საკასო მეთოდით წარდგენა - კომპანიის მიერ ჯარიმების სახით მიღებული შემოსავლები (1,260 და 346, 2017 და 2016 წლებისათვის შესაბამისად) აღიარებულია საკასო მეთოდით, რაც არ შეესაბამება ფასს-ების მოთხოვნებს. ჩვენთვის შეუძლებელი იყო ამ სახის შემოსავლების ოდენობების განსაზღვრა დარიცხვის მეთოდით, რის გამოც, ვერ დავადგინეთ კონკრეტულად რა სახის გავლენა იქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე იმ ფაქტმა, რომ ჯარიმების სახით მიღებული შემოსავლები საკასო მეთოდით არის წარდგენილი.

2015 წლის 31 დეკემბრისათვის კლიენტებზე გაცემული სესხების გაშიფრა და მასთან დაკავშირებული საექვო ვალების რეზერვი - კომპანიის ხელმძღვანელობამ პირველად მოახდინა საექვო ვალების რეზერვის გაანგარიშება და ასახა რეზერვის თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში 2016 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული. კომპანიის ხელმძღვანელობას არ ჰქონდა ინფორმაცია: უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით გაცემული სესხების შესახებ, ვადაგადაცილებული სესხების ანალიზი ხანდაზმულობის მიხედვით და სხვა საჭირო ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების შესახებ 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რის გამოც, 2016 წელთან დაკავშირებული საექვო ვალების რეზერვის ცვლილების ამსახველი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა არ არის წარდგენილი და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საექვო ვალების რეზერვის თანხა 5,462 ერთიანი საშუალო პროცენტის მიხედვით არის გაანგარიშებული და წარდგენილი, რაც არ შეესაბამება ფასს 7-ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი-შენიშვნები და ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება - მოთხოვნებს. ამდაგვარმა წარდგენამ ავტომატურად გამოიწვია 2016 წლის სესხების გაუფასურების რეზერვის ხარჯის 2,480, 2016 წლის 1 იანვრისათვის შესაბამისი გადავადებული მოგების გადასახადის აქტივისა და მისი 2016 წლის შესაბამისი პერიოდის ეექტის ფასს-ების შეუსაბამო წარდგენა. შესაბამისი ციფრების შესადარისობაზე ამ საკითხის გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება, ასევე, მოდიფიცირებულია.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა რომ, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს, თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების 3.1 შენიშვნაზე:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ჯამურმა წმინდა ზარალმა შეადგინა 7,492 და ამ თარიღისათვის კომპანიის ვალდებულებებმა მთლიან აქტივებს 4,847 -ით გადააჭარბა. კომპანიის ფინანსური ლიკვიდურობის ამსახველი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 14 ასახავს მნიშვნელოვან გადასახადელებს მოკლევადიან სესხების დაფარვის კუთხით სულ ჯამურად, ამასთანავე, ბალანსის შემდეგ მომხდარი მოვლენების ამსახველ ახსნა-განმარტებითი შენიშვნაში მოცემულია, რომ: კომპანიის დამფუძნებლებმა განახორციელეს 3,000 ფულადი ინვესტიცია კომპანიის საწესდებო კაპიტალში, კომპანიამ მოახდინა მისი 3,892 ოდენობით საბანკო სესხების გადახდის ვადის გაგრძელება. ასევე, კომპანიის მენეჯმენტი წარსული პრაქტიკიდან თვლის, რომ სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან არსებული სასესხო ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვა კონტრაქტუალურად იქნება გაგრძელებული მინიმუმ ერთი წლით. ამ დაშვებებზე და ბალანსის შემდეგ მომხდარ მოვლენებზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ დაძლეულ იქნება უარყოფითი კაპიტალისა და მოკლევადიანი ლიკვიდურობის პრობლემები და საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ადეკვატურია.





როგორც ფინანსურ ანგარიშგების 3.1 შენიშვნაშია აღნიშნული, ზემოთ ნახსენები გარემოებები, სხვა საკითხებთან ერთად რომელიც მოცემულია იმავე შენიშვნის საბანკო სესხების ხელშეკრულებებით დადგენილი ფინანსური და არაფინანსური პირობების დარღვევასთან ერთად ნაწილში, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნა ნომერ 2.2-ზე - გასული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების ჩასწორება და რეკლასიფიკაცია: გასული პერიოდის (2016 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დამთავრებული წლისათვის) ფინანსური ანგარიშგება არ ჩასწორებულა, თუმცა, მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი მონაცემები ჩასწორებულა. ზემოთ მოცემული ჩვენი დასკვნის მოდიფიკაცია საეჭვო ვალების რეზერვთან დაკავშირებით გამოწვეულია ერთ-ერთი ასეთი ჩასწორების გამო, სხვა კუთხით, გასული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების ჩასწორებამ და რეკლასიფიკაციამ არ გამოიწვია ჩვენი დასკვნის დამატებითი მოდიფიკაცია.

სხვა გარემოება

წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი - ფინანსური ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დამთავრებული წლისათვის აუდიტრებულია სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც გასცა მოდიფიცირებული აუდიტის მოსაზრება 2017 წლის 29 სექტემბერს. მოდიფიცირების მიზეზები იყო:

- ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება - მიხედვით, სესხების გაუფასურების რეზერვის არ წარმოება;
- ბასს 12 - მოგების გადასახადები - გადავადებული მოგების გადასახადის ნაშთებისა და შესაბამისი ხარჯებისა და შემოსავლების არ წარდგენა;
- სესხის გაცემის საკომისიოების საკასო მეთოდით ასახვასთან დაკავშირებით;
- შესადარისი მონაცემების 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული სესხების ნაშთების შესახებ ინფორმაციის მოუპოვებლობასთან დაკავშირებით.

საქმიანობის მიმოხილვის ანგარიში - სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. სავარაუდოდ, საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ, 2018 წლის 15 სექტემბრამდე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხედრაზე, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. როდესაც გავეცნობით საქმიანობის მიმოხილვასა და კორპორაციულ მართვის ანგარიშგებას, თუ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მასში, გვევალება, ამ საკითხის შესახებ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსაზრებად.





რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ, თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორ ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.





თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია - ივანე ჯელია.

ივანე ჯელია

შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“ - ს სახელით
მმართველი პარტნიორი
2018 წლის 15 ივნისი



შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შენიშვნა	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ. (ჩასწორებული)	31 დეკემბერი, 2015 წ. (ჩასწორებული)
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	6,597	4,954
კლიენტებზე გაცემული სესხები	6	19,662	21,708
ძირითადი საშუალებები	7	4,721	4,895
არამატერილური აქტივები	8	188	225
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	13	136	199
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	545
სხვა აქტივები	9	442	807
სულ აქტივები		31,746	33,333
ვალდებულებები			
ნასესხები საშუალებები	10	34,985	37,096
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		135	213
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		62	-
ანარიცხები	14	422	360
სხვა ვალდებულებები	11	989	1,031
სულ ვალდებულებები		36,593	38,700
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,645	2,645
დაუფარავი ზარალი		(7,492)	(8,012)
სულ საკუთარი კაპიტალი		(4,847)	(5,367)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		31,746	33,333

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2018 წლის 15 ივნისს.

დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი

ფინანსური დირექტორი: ბ-ნი აკაკი აროშიძე

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

შენიშვნა	31.12.2017 დასრულებული წლისათვის	31.12.2016 დასრულებული წლისათვის (ჩასწორებული)
საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები	13,048	22,578
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	-
სულ საპროცენტო შემოსავალი	13,061	22,578
საპროცენტო ხარჯი		
ნაესხები სახსრები	(6,412)	(6,331)
სულ საპროცენტო ხარჯი	(6,412)	(6,331)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	6,649	16,247
სესხების გაუფასურების რეზერვი	(629)	(2,480)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების რეზერვის შემდგომ	6,020	13,767
არასაპროცენტო შემოსავლები		
საკომისიო შემოსავლები	8,761	1,755
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი	1,260	346
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	20	(2,463)
სხვა შემოსავალი	280	73
სულ არასაპროცენტო შემოსავლები	10,321	(289)
არასაპროცენტო ხარჯი		
საკომისიო ხარჯი	(176)	(184)
თანამშრომლების ანაზღაურება	(11,486)	(9,928)
იჯარა	(1,030)	(1,565)
სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,501)	(2,201)
ცვეთა, ამორტიზაცია	(753)	(506)
სხვა ზარალი	(227)	(463)
სულ არასაპროცენტო ხარჯი	(15,173)	(14,847)
საანგარიშო წლის მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის დაბეგრამდე	1,168	(1,369)
მოგების გადასახადის ხარჯი	13	(335)
საანგარიშო წლის მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი	731	(1,704)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ
 იქნა 2018 წლის 15 ივნისს.

დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი

ფინანსური დირექტორი: ბ-ნი აკაკი არომიძე

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	31.12.2017 დასრულებული წლისათვის	31.12.2016 დასრულებული წლისათვის (ჩასწორებული)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	1,168	(1,369)
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთასა და ამორტიზაციაში	753	506
საპროცენტო შემოსავალში	(13,061)	(22,578)
საპროცენტო ხარჯში	6,412	6,331
ანარიცხები	62	360
საკურსო სხვაობიდან წარმოშობილ ზარალში	(20)	2,463
	(4,686)	(14,287)
<i>ცვლილებები:</i>		
კლება/(მატება) კლიენტებზე გაცემულ სესხებში	2,046	2,777
კლება/(მატება) სხვა აქტივებში	365	(581)
მატება/(კლება) სხვა ვალდებულებებში	(251)	(678)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები	(2,526)	(12,769)
მიღებული პროცენტი	12,580	20,781
გადახდილი პროცენტი	(6,046)	(5,959)
(ოპერაციებში გამოყენებული)/ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები	4,008	2,053
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(360)	(1,466)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(2)	(253)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები	(362)	(1,719)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
დამფუძნებლების მიერ განხორციელებული შენატანი კაპიტალში	-	1,000
ფულადი სახსრები მიღებული სესხებიდან	61,011	41,057
სესხების და კრედიტების გადახდა	(62,727)	(40,370)
გადახდილი დივიდენდები	(200)	(1,800)
(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული)/ ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	(1,916)	(113)
წმინდა მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	1,730	221
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(87)	(195)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4,954	4,928
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	6,597	4,954

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2018 წლის 15 ივნისს.

დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი

ფინანსური დირექტორი: ბ-ნი აკაკი არომიძე

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს (ჩასწორებული)	1,645	(4,413)	(2,768)
2016 წლის სრული (ზარალი)	-	(1,704)	(1,704)
ინვესტიცია საწესდებო კაპიტალში	1,000	-	1,000
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,895)	(1,895)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს (ჩასწორებული)	2,645	(8,012)	(5,367)
2017 წლის სრული შემოსავალი	-	731	731
გამოცხადებული დივიდენდები	-	(211)	(211)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	2,645	(7,492)	(4,847)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2018 წლის 15 ივნისს.

დირექტორი: ბ-ნი გურამ კანდელაკი

ფინანსური დირექტორი: ბ-ნი აკაკი არომიძე

_____ ა. ანდ. ბ.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“ (შემდგომში „კომპანია“) 1999 წლის 4 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 202950226. კომპანიის იურიდიული მისამართია: პეკინის ქუჩა #33 ა, თბილისი, საქართველო. 2008 წლის 6 თებერვალი კომპანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ („სებ“) დარეგისტრირდა, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა უძრავ-მოძრავი ქონებით (ძირითადად, ძვირფასი ლითონებით და უძრავი ქონების ობიექტებით) უზრუნველყოფილი მცირე და საშუალო ზომის სესხების გაცემა ფიზიკურ პირებზე, სავალუტო ოპერაციები და ფულადი გზავნილები.

კომპანიის დამფუძნებლებს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები, შესაბამისად, მას არ ჰყავს დედა კომპანია. კომპანიის მაკონტროლებელ პირთა ჯგუფი 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრისათვის: ბ-ნი გურამ კანდელაკი (01026011514) - 32.75%, ქ-ნი ნაზიკო კანდელაკი (01024020434) 9 %, ქ-ნი თამარ კანდელაკი (01026011515) 17 % და ბ-ნი გიორგი მამადაშვილი (01013002170) - 5 %.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

2.1 მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ, თუ საწინააღმდეგო არ იქნება მითითებული.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2.2 წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების ჩასწორება და რეკლასიფიკაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2016 წ. (ჩასწორებული)	ჩასწორებები	რეკლასიფიკა- ციები	31 დეკემბერი, 2016 წ. (ჩასწორებამდე)
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		4,954	-	-	4,954
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,2	21,708	(5,614)	(745)	28,067
ძირითადი საშუალებები		4,895	-	-	4,895
არამატერიალური აქტივები		225	-	-	225
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	3	199	199	-	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები	2,4	545	(30)	(98)	673
სხვა აქტივები	2,5	807	(130)	896	41
სულ აქტივები		33,333	(5,575)	53	38,855
ვალდებულებები					
ნასესხები საშუალებები		37,096	-	-	37,096
გადასახდელი მოგების გადასახადი	2,4	213	225	(12)	-
გადასახდელი გადასახადები	2	-	-	(87)	87
ანარიცხები		360	360	-	-
სხვა ვალდებულებები	2	1,031	-	152	879
სულ ვალდებულებები		38,700	585	53	38,062
კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი		2,645	-	-	2,645
დაუფარავი ზარალი	1,3,4,5	(8,012)	(6,160)	-	(1,852)
სულ კაპიტალი		(5,367)	(6,160)	-	793
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		33,333	(5,575)	53	38,855

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2015 წ. (ჩასწორებული)	ჩასწორებები	რეკლასიფიკა -ციები	31 დეკემბერი, 2015 წ. (ჩასწორებამდე)
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		4,928		-	4,928
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,2	24,485	(5,461)	(109)	30,055
ძირითადი საშუალებები არამატერიალური აქტივები	6	3,203	59	-	3,144
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი წინასწარ გადახდილი გადასახადები	3	309	309	-	-
სხვა აქტივები	2	182	-	(27)	209
სხვა აქტივები	2	226	-	211	15
სულ აქტივები		33,337	(5,093)	75	38,355
ვალდებულებები					
ნასესხები საშუალებები		34,419	-	-	34,419
გადასახდელი მოგების გადასახადი	4	290	-	290	-
გადასახდელი ანარიცხები	2	-	-	(317)	317
სხვა ვალდებულებები	8	-	-	-	-
სხვა ვალდებულებები	2	1,396	-	102	1,294
სულ ვალდებულებები		36,105	-	75	36,030
კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი		1,645	-	-	1,645
გაუნაწილებელი მოგება	1,3,4,5,6	(4,413)	(5,093)	-	680
სულ კაპიტალი		(2,768)	(5,093)	-	2,325
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		33,337	(5,093)	75	38,355



შპს „მეკონსალტინგის ორგანიზაცია „რეკონსტრუქცია I“
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2016 დასრულებული წლისათვის (ჩასწორებული)	ჩასწორებები	რეკლასიფიკაც-ციები	31.12.2016 დასრულებული წლისათვის (ჩასწორებამდე)
საპროცენტო შემოსავალი					
კლიენტებზე გადებული სესხები	2	22,578	4	-	22,574
სულ საპროცენტო შემოსავალი		22,578	4	-	22,574
საპროცენტო ხარჯი					
ნასესხები სახსრები	2	(6,331)	-	(84)	(6,247)
სულ საპროცენტო ხარჯი		(6,331)	-	(84)	(6,247)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		16,247	4	(84)	16,327
სესხების გაუფასურების რეზერვი	1	(2,480)	(152)	-	(2,328)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ანგარიშის შემდეგ		13,767	(148)	(84)	13,999
არასაპროცენტო შემოსავალი					
საკომისიო შემოსავალი		1,755	-	(216)	1,971
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი		346	-	-	346
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა მოგება/ზარალი		(2,463)	-	-	(2,463)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2	-	-	(56)	56
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2	73	23	50	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები / ხარჯები		-	-	259	(259)
სულ არასაპროცენტო შემოსავალი		(289)	23	37	(349)
არასაპროცენტო ხარჯი					
საკომისიო ხარჯი		(184)	-	215	(399)
თანამშრომლების ანაზღაურება	7	(9,928)	-	(9,928)	-
ოჯარა	7	(1,565)	-	(1,565)	-
სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	4,7,8	(2,201)	(329)	11,518	(13,390)
ცენთისა და ამორტიზაციის ხარჯი	6	(506)	(7)	-	(499)
სხვა მოგება/(ზარალი)	5,7	(463)	(188)	(275)	-
სულ არასაპროცენტო ხარჯი		(14,847)	(524)	(35)	(14,288)
საანგარიშო წლის მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის დაბეჭდვამდე		(1,369)	(649)	(82)	(638)
მოგების გადასახადის ხარჯი	4	(335)	(335)	-	-
საანგარიშო წლის მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი		(1,704)	(984)	(82)	(638)

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები:

1. საექვო ვალების რეზერვის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარება;
2. სხვა და სხვა ტიპის რეკლასიფიკაციები;
3. გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება;
4. მიმდინარე გადასახადების თანხის დაკორექტირება;
5. თანამშრომლებზე ზარალის დაფარვის მიზნით გაცემული სესხის ფინანსური ამორტიზაცია;
6. ცვეთის დაკორექტირება;
7. ადმინისტრაციული ხარჯის გაშლილად წარდგენის გამო რეკლასიფიკაციები;
8. საგადასახადო ანარიცხის შექმნა.

2.3 წარსადგენი ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ათას ლარში თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

2.4 სამართლიანი ღირებულება.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება: აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე. მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დამკვეთის საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიპოვება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები.

ფინანსური ინსტრუმენტები აისახება სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, მათი კლასიფიკაციის მიხედვით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

გარიგების დანახარჯები არის ნამეტი დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს. ნამეტი დანახარჯები არის დანახარჯები, რომლებიც არ წარმოიშობოდა, თუ არ განხორციელდებოდა გარიგება. გარიგების დანახარჯები მოიცავს

აგენტების (გაყიდვის აგენტებად მოქმედ დაქირავებულ მომუშავეთა ჩათვლით), მრჩეველების, ბროკერებისა და დილერების ხელფასებსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი სააგენტოებიდან და საფონდო ბირჟებიდან მოსაკრებლებსა და სატრანსფერო ბაჟსა თუ სავალდებულო მოსაკრებელს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს პრემიებსა და ფასდათმობებს, ფინანსურ დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ თუ მფლობელთა დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა თავდაპირველი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის გადახდით, მიმატებული დარიცხული პროცენტის თანხა და ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, შემცირებული მიღებული გაუფასურების ზარალის ჩამოწერით. დარიცხული პროცენტის თანხა მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და პრემიას ან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტის დისკონტირებული ღირებულება. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები, როგორც დარიცხული კუპონის, ისე ამორტიზირებული დისკონტის ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს), ცალ-ცალკე კი არ აისახება, არამედ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადაანაწილების მეთოდი, ისე რომ მიღებულ იქნეს პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად აღისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, თუ შესაფერისია, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ხდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის გადაფასების შემდეგ თარიღამდე, გარდა პრემიის ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში განსაზღვრული მცოცავი საპროცენტო განაკვეთის შეღავათის დიაპაზონს ან სხვა ცვლადებს, რომლებიც დამოკიდებული არ არის საბაზრო განაკვეთზე. მსგავსი პრემია ან დისკონტი ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში. ახლანდელი ღირებულების გაანგარიშება მოიცავს მხარეების მიერ ყველა საკონტრაქტო გადახდილ ან მიღებულ საზღაურს, რომელიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

2.6 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების გადატანა ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაში გადიოდა.

2.7 ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, და ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, კორექტირდება გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებით.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან, მაშინ:

- თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით (ე. ი. 1 დონის ამოსავალი მონაცემი) ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ კომპანია აღიარებს სხვაობას თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, როგორც მოგებას ან ზარალს შესაბამისად საპროცენტო შემოსავალში ან ხარჯებში;
- ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება დაკორექტირდება, რომ გადაავადოს სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს, როგორც შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაცემები გახდება ბაზარზე მოპოვებადი, ან როდესაც ინსტრუმენტების აღიარება შეწყდება.

2.8 ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა.

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

2.9 ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

2.10 გაცემულია სესხები და მისაღები ანგარიშები.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგების და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხების და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

2.11 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღირიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

**შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20
კომპიუტერული ტექნიკა	5; 10
საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	5; 10
სატრანსპორტო საშუალებები	5

2.12 არამატერიალური აქტივები.

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 7 წლის განგარიშებით.

2.13 მოგების გადასახადი.

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მოზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძვნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძვნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2.14 ანარიცხები

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.15 საოპერაციო იჯარა - კომპანია, როგორც მოიჯარე.

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიც და სარგებელიც მეიჯარის ხელშია, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი იჯარის პერიოდში და შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

2.16 ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მისი მოხდენისთანავე ერთი ან უფრო მეტი მოვლენის შედეგად (“ზარალის განმაპირობელი მოვლენები”), რომელთაც ადგილი ჰქონდათ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოცემული ფინანსური აქტივიდან, ან ფინანსური აქტივების ჯგუფიდან, რომელთა საიმედო შეფასებაც შესაძლებელია, მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების შეფასების ოდენობაზე, ან პერიოდულობაზე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ინდივიდუალურად შეფასებული აქტივის გაუფასურებას, მიუხედავად მნიშვნელოვანი, ან უმნიშვნელო გაუფასურებისა, კომპანია ამ აქტივს მიაკუთვნებს ანალოგიური საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და ერთობლივად შეაფასებს მათ გაუფასურებას. ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას ძირითადი ფაქტორები, რომელსაც გაითვალისწინებს კომპანია, არის ფინანსური აქტივის ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მასთან დაკავშირებული გირაოს [უზრუნველყოფის საშუალების], თუ ის არსებობს, რეალიზებადობა. შემდეგი სხვა პრინციპული კრიტერიუმები, რომელიც ასევე გამოიყენება იმის დასადგენად არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება გაუფასურების ზარალის არსებობის დასადგენად, შემდეგია:

- თანხის ნებისმიერი ნაწილი, ან შესატანი თანხის გადახდა ვადაგადაცილებულია და გვიანი გადახდა არ მიეწერება ანგარიშსწორების სიტემით გამოწვეულ დაბრკოლებას;
- კონტრაქტის ხელმომწერი მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რასაც მოწმობს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაცია;
- კონტრაქტის ხელმომწერი მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რასაც მოწმობს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაცია;
- კონტრაქტის ხელმომწერი მეორე მხარის მიერ გადახდის მდგომარეობაში უარყოფითი ცვლილებაა, რაც განაპირობა მთელს ქვეყანაში, ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შეცვლამ, რამაც ზეგავლენა მოახდინა კონტრაქტის ხელმომწერი მეორე მხარეზე; ან
- გირაოს ღირებულება, მისი არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შემცირდა საბაზრო პირობების გაუარესების შედეგად.

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები მოლაპარაკების შედეგად შეიცვალა, ან სხვა მხრივ მოხდა მოდიფიცირება კონტრაქტის ხელმომწერი მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურების შეფასება ხდება პირობების მოდიფიკაციამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება დაყვანილ იქნეს მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებამდე (რომელიც არ მოიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომლებიც წარმოშობილი არ ყოფილა), რომელთა დისკონტირებაც ხდება მოცემული აქტივის თავდაპირველი ფაქტობრივი საპროცენტო განაკვეთით. დაგირავებული ფინანსური აქტივიდან სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების კალკულაციაში აისახება ფულად ნაკადები, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს დაგირავებული აქტივის უმცირესი ფასებით გაყიდვით ან შესყიდვით, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა დაგირავებულ აქტივზე უფლების დაკარგვის სა-მიშროება.

იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების თანხის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან (მაგალითად,

როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება ხდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მეშვეობით.

ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის ანარიცხებში მას შემდეგ, როდესაც დასრულდება აქტივის ამოსაღებად ყველა საჭირო პროცედურის განხორციელება დასრულებული და განისაზღვრება ზარალის ოდენობა: სალომბარდო სესხები, მათ შესაბამის რეზერვთან ერთად, ჩვეულებრივ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაცია ხდება მაშინ, როდესაც შესაბამისი სესხი 90 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული. უიმედო იპოთეკური სესხები ჩამოიწერება მაშინ, როდესაც უზრუნველყოფის საგნის ამოღების პროცედურები სრულდება და ფულადი ნაკადების შემდგომი მიღება აღარ არის მოსალოდნელი მსესხებლისგან ან უზრუნველყოფის საგნიდან. შემდგომ ამოღებული თანხები, რომელიც ადრე იქნა ჩამოწერილი, დაერიცხება სხვა შემოსავლის ანგარიშს მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

2.17 გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მიწუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილი ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

2.18 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვა ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.19 ნასესხები საშუალებები.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2.20 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.21 უცხოულ ვალუტაში გადაანგარიშება.

კომპანიის თითოეული ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (“ქართული ლარი”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა

ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი სამართლიანი ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება როგორც სამართლიანი ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2017 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთები: 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი და 1 ევრო = 3.1044 (2016 წლის 31 დეკემბრისთვის: 1 აშშ დოლარი = 2.6468 ლარი და 1 ევრო = 2.7940 ლარი).

2.22 საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღრიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი. სესხებზე ვადაგადაცილებული შენატანებთან დაკავშირებული ჯარიმებისა და საურავების აღიარება ხდება საპროცენტო შემოსავლის სახით იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს. როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2.23 სხვა მომსახურების გაწევიდან ამონაგების აღიარება.

გაყიდული მომსახურება აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-ისა და ფასდათმობის გარეშე.

2.24 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განხორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განხორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.25 ურთიერთგადაფარვა.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.26 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

2.27 მიღებული გასამრჯელო და საკომისიო.

კომპანია გამოიმუშავეს სხვა და სხვა ტიპის მომსახურებაზე საკომისიოს, რომელთა აღიარებაც ხდება შესაბამისი ოპერაციის დასრულებისთანავე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

3.1 საწარმოს უწყვეტობის პრინციპი.

ფინანსური მდგომარეობა და ლიკვიდურობა. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ჯამურმა წმინდა ზარალმა შეადგინა 7,492 და ამ თარიღისათვის კომპანიის ვალდებულებებმა მთლიან აქტივებს 4,847 -ით გადააჭარბა. კომპანიის ფინანსური ლიკვიდურობის ამსახველი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 14 ასახავს მნიშვნელოვან გადასახადებებს მოკლევადიან სესხების დაფარვის კუთხით სულ ჯამურად, ამასთანავე, ბალანსის შემდეგ მომხდარი მოვლენების ამსახველ ახსნა-განმარტებითი შენიშვნაში მოცემულია, რომ: კომპანიის დამფუძნებლებმა განახორციელეს 3,000 ფულადი ინვესტიცია კომპანიის საწესდებო კაპიტალში, კომპანიამ მოახდინა მისი 3,892 ოდენობით საბანკო სესხების გადახდის ვადის გაგრძელება. ასევე, კომპანიის მენეჯმენტი წარსული პრაქტიკიდან თვლის, რომ სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან არსებული სასესხო ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვა კონტრაქტუალურად იქნება გაგრძელებული მინიმუმ ერთი წლით. ამ დაშვებებზე და ბალანსის შემდეგ მომხდარ მოვლენებზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ დაძლეულ იქნება უარყოფითი კაპიტალისა და მოკლევადიანი ლიკვიდურობის პრობლემები და საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ადეკვატურია.

საბანკო სესხების ხელშეკრულებებით დადგენილი ფინანსური და არაფინანსური პირობების დარღვევა. კომპანიას 1,902 თანხაზე საბანკო სესხების ხელშეკრულების ფარგლებში 1,902 ნაკისრი აქვს გარკვეული ფინანსური და არაფინანსური სახის პირობებისა და კრიტერიუმების შესრულება, რომელთა დარღვევის შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს, განახორციელოს სხვა და სხვა ქმედება, მათ შორის: ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი 10%-ის ოდენობით ან მოითხოვოს ბანკის მიერ განსაზღვრული თანხის ოდენობის დეკონირება მათ მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე სესხის უზრუნველყოფის მიზნით. კომპანიას დარღვეული აქვს ბანკის მიერ დადგენილი პირობების, მაგალითად, კაპიტალის ოდენობასა და დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ მოახერხებს ბანკის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას, რათა არ მოხდეს მათი მხრიდან კომპანიის მიმართ ხელშეკრულებით განსაზღვრული ქმედებების განხორციელება. ამ დაშვებებზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ თავიდან იქნება აცილებული კომპანიისათვის ამ უარყოფითი პოტენციური ფაქტების გავლენა და საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ადეკვატურია.

3.2 გადავადებული მოგებიდან გადასახადის აქტივის აღიარება.

აღიარებული გადავადებული მოგებიდან გადასახადის აქტივი წარმოადგენს მოგების გადასახადს, რომლის აღდგენა ხდება დასაბუჯრი მოგებიდან მომავალი გამოქვითების გზით, და აისახება ბალანსში. კომპანიის ხელმძღვანელობამ განსჯის საფუძველზე განსაზღვრა გადავადებული საგადასახადო აქტივის ოდენობა, რომელიც აღიარებული იქნა კომპანიის მიერ. გადავადებული მოგებიდან გადასახადის აქტივის ასახვა ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია მასთან დაკავშირებული საგადასახადო სარგებლის რეალიზება. მომავალი საგადასახადო მოგება და საგადასახადო სარგებლის მოცულობა, რომელთა მიღებაც სავარაუდოა მომალში, ეფუძნება საშუალოვადიან ბიზნეს გეგმას, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობამ მოამზადა და მასზე დაყრდნობით მოახდინა შედეგების ექსტრაპოლაცია.

3.3 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებულ ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

3.4 საეჭვო ვალების რეზერვი.

კომპანიის მიერ რეგულარულად ხდება სესხებისა და მისაღები ანგარიშების გადახედავა გაუფასურებასთან მიმართებაში. გაუფასურების ზარალს კომპანია განსაზღვრავს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით იმ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური სირთულეები და ანალოგიურ მსესხებელთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. კომპანია ასევე აფასებს სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიაჩნდება მსესხებელთა ჯგუფის კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე, ან ისეთ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცვლილებებზე, რომლებიც იწვევს აქტივების ჯგუფზე ვალდებულებების შეუსრულებლობას. საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობით შეფასებებს. სესხების ან მისაღები ანგარიშების შემთხვევაში კომპანია გამოცდილების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას საბაზრო მონაცემების არსებული გარემოებების შესაბამისად კორექტირებაზე. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული სესხის გაუფასურების რეზერვის ოდენობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 6,008 იყო (2016 წ.: 5,614). დამატებითი დეტალები წარმოდგენილია მე-8 შენიშვნაში.

4. ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შემოღება

ქვემოთ მოცემულია ახალი და შეცვლილი, სტანდარტები რომლებიც დანერგილი აქვს კომპანიას პირველად 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში

ცვლილებები ზასს 12-ში, მოგების გადასახადი

IASB-მა გამოიშვა დოკუმენტი “გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება არარეალიზებული ზარალისათვის”, რომლითაც მცირე მასშტაბის ცვლილებები შევიდა ზასს 12-ში, „მოგების გადასახადი“. ამ განახლების მიზანია, განსაზღვროს, თუ როგორ აღირიცხოს გადავადებული მოგების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრულ სასესხო ინსტრუმენტებთან. ნაწილობრივ, სადაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთის შემცირება იწვევს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შემცირებას.

ცვლილებები აზუსტებენ შემდეგ ასპექტებს:

- არარეალიზებული ზარალი სასესხო ინსტრუმენტებზე, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო საგადასახადო მიზნებისთვის აისახება თვითღირებულებით, წარმოშობს გამოქვითვად დროებით სხვაობას, მიუხედავად იმისა, ამ ინსტრუმენტის მფლობელი მის გაყიდვას აპირებს თუ გამოყენებას;
- აქტივის საბალანსო ღირებულება არ გვზღუდავს სავარაუდო მოგების გადასახადის განსაზღვრებაში;
- განსაზღვრული მომავალი დასაბეგრი მოგება არ შეიცავს იმ საგადასახადო გამოქვითვებს, რომლებიც წარმოქმნილია გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შებრუნებით.
- კომპანიამ უნდა განსაზღვროს საგადასახადო კოდექსის შეზღუდვები დასაბეგრი მოგების იმ წყაროზე, რომლებსაც შეუძლიათ, შეამცირონ გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შებრუნება. თუ საგადასახადო არ შემოიღებს ამგვარ შეზღუდვას, მაშინ კომპანიას შეეძლება ეს დროებითი გამოქვითვადი სხვაობა შეაფასოს სხვა დროებით გამოსაქვით სხვაობებთან ერთად.

ცვლილებები ეფექტური იქნება 2017 წლის 1 იანვრიდან და მათი გამოყენება მოითხოვება რეტროსპექტულად. ხელმძღვანელობა ამ ცვლილებებისგან არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს (IAS) 7 ინფორმაციის გახსნის ინიციატივა და ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში

ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ - ცვლილებები შევიდა „ინფორმაციის გახსნის ინიციატივის“ ფარგლებში და საწარმოებს ავალდებულებს ისეთი ინფორმაციის წარმოდგენას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხმარებელი ცვლილებები, ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებებისა და არაფულადი ცვლილებების ჩათვლით. ცვლილების თავდაპირველად განხორციელებისას, საწარმოებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდებთან შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. საწარმოს წარდგენილი აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი ასხნა-განმარტებითი შენიშვნა, სტანდარტის დანერგვამ არ გამოიწვია სხვა ზეგავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქვემოთ მოცემული სტანდარტები კომპანიას, ასევე, დანერგილი აქვს წინასწარ, მათ არანაირი გავლენა არ მოუხდენიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ცვლილებები ფასს 2-ში წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების კლასიფიკაცია და გაზომვა

ცვლილებები სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან. მათი მიზანია სტანდარტში არსებული ზოგიერთი პრინციპისა და სააღრიცხვო მიდგომის განმარტება.

გაუმჯობესებათა 2014-2016 წლების ციკლი

აღნიშნული გაუმჯობესებები ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან:

- ფასს 1 - არსებული მოკლევადიანი შეღავათები ფასს 7, ბასს 19 და ფასს 10-ის გარდამავალი მუხლებისათვის გაუქმებულია (არა-აქტუალობის გამო);
- ბასს 28 - განმარტებულია, რომ ერთობლივმა საწარმოებმა, ფონდებმა და მსგავსმა ორგანიზაციებმა მეკავშირეებსა და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების სამართლიანი ღირებულებით ასახვის არჩევანი უნდა განახორციელონ ინდივიდუალურად თითოეული ორგანიზაციისათვის თავდაპირველი აღიარებისას.

ქვემოთ მოცემულია ის სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოშვებულია და ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ პერიოდზე და რომლებიც არ არის ადრე დანერგილი წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას. კომპანიის შეფასებით, არც ერთ მათგანს არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები (ეფექტიურია საანგარიშგებო პერიოდებისათვის რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს)

2014 წლის ივლისში ბასსს-მ გამოუშვა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ საბოლოო ვერსია, რომელიც ასახავს ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ყველა ფაზას და ჩანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა მანამდე არსებულ ვერსიას. სტანდარტით დამტკიცდა კლასიფიკაციისა და შეფასების, გაუფასურებისა და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი წესები. კლასიფიცირებასა და შეფასებას რაც შეეხება, ეს ახალი სტანდარტი მოითხოვს წილობრივი ინსტრუმენტებისა და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გარდა, ყველა ფინანსური აქტივის შეფასებას საწარმოს მიერ ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელის და ასევე ამ ინსტრუმენტებზე სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავისებურებების საფუძველზე. ბასს 39-ის შეფასების კატეგორიები ჩანაცვლდება შემდეგით: სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში (FVPL), სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI), და ამორტიზებული ღირებულების კატეგორიები. ამასთანავე, ფასს 9 საწარმოებს საშუალებას მისცემს, რომ ის ინსტრუმენტები, რომლებიც შეიძლება შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, შეუქცევადად განსაზღვროს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუკი ეს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას მთლიანად აღმოფხვრის ან საგრძნობლად შეამცირებს. წილობრივი ინსტრუმენტები, რომელთა ფლობის მიზანაც არ არის გაყიდვა, შეიძლება შეუქცევადად განსაზღვროს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, რის შემდეგაც მოგების ან ზარალის რეკლასიფიცირება აღარ მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა მეტწილად იგივე დარჩება, რაც ბასს 39-ითაა გათვალისწინებული.

ფასს 9-ით ასევე ძირულად შეიცვლება მიდგომა სესხის გაუფასურებისადმი. ეს სტანდარტი ბასს 39-ის განცდილი ზარალის მიდგომას ჩანაცვლებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით, რომელიც მომავალზეა ორიენტირებული და არა წარსულზე. ბანკი ვალდებული იქნება ყველა სესხისა და სხვა დებიტორული ფინანსური აქტივისთვის, რომლებიც არ არის მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, ასევე სასესხო

ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისთვის, შექმნას მოსალოდნელი ზარალის რეზერვი. რეზერვი დაეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ არის გაზრდილი, რა შემთხვევაშიც რეზერვი უნდა ეყრდნობოდეს ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში.

ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენება. რეტროსპექტულად გამოყენება სავალდებულოა, თუმცა შედარებადი ინფორმაციის გადაანგარიშება არ მოითხოვება; გადასვლის თარიღზე (2018 წლის 1 იანვარი) ეფექტი უნდა აღირიცხოს გაუნაწილებელ მოგებაში. ფასს 9-ის მიღება, მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს კომპანიის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, მაგრამ გავლენას არ იქონიებს კომპანიის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე. კომპანია მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავის კაპიტალზე, გაუფასურებასთან დაკავშირებით ფასს 9-ის მოთხოვნების შემოღების გამო, მაგრამ გავლენის მასშტაბის დასადგენად მას დასჭირდება დამატებითი დეტალური ანალიზის ჩატარება, რომელიც გაითვალისწინებს ყველა გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, საპროგნოზო ელემენტების ჩათვლით.

ფასს 16 იჯარა (ეფექტურია საანგარიშგებო პერიოდებისათვის რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს)

ფასს 16 აწესებს ახალ მოთხოვნებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 16 მოითხოვს, იჯარა აღირიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივი „გამოყენების უფლებით“ და იჯარის ვალდებულება.

ფასს 16 ასევე:

ცვლის იჯარის განმარტებას;

- აწესებს მოთხოვნებს, თუ როგორ აღვირცხოთ აქტივი და ვალდებულება, ასევე რთული საკითხები, როგორებიცაა, არასაიჯარო ელემენტები, ცვლადი იჯარის გადასახადები და ოპციის პერიოდი;
- ითვალისწინებს გამონაკლისებს მოკლევადიან იჯარაზე და დაბალფასიანი აქტივების იჯარებზე;
- ცვლის აღრიცხვას რეალიზაციის და უკუიჯარის გარიგებებზე;
- ძირითადად ინარჩუნებს ბასს 17-ის მიდგომას;
- გვაცნობს ახსნა-განმარტებითი შენიშვნების ახალ მოთხოვნებს.

ფასს 16 ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან. სტანდარტის ამ ვადაზე ადრე გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ფასს 15 - შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან. კომპანიის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან (ეფექტურია საანგარიშგებო პერიოდებისათვის რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს)

ფასს 15 წარმოადგენს ახალ მოთხოვნას რეალიზაციის აღიარებასთან დაკავშირებით და იგი ანაცვლებს ბასს 18-ს – “ამონაგები”, ბასს 11-ს – “სამშენებლო კონტრაქტები” და სხვა რეალიზაციასთან დაკავშირებულ სტანდარტებს. ახალი სტანდარტი საუბრობს კონტროლთან დაკავშირებულ რეალიზაციის მოდელზე და იძლევა ისეთ დეტალებზე განმარტებებს, რაც სხვა ფასს-ებში არ იყო აქამდე დაფარული. მათ შორის, როგორ აღირიცხოს ბუალატრულად მრავალპროფილიანი ვალდებულებები, ფასების ცვალებადობა, მომხმარებლების დაბრუნებული უფლებები, მომწოდებლების გამოსყიდული ოფციები და სხვა კომპლექსური საკითხები.

ფასს 15 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტთან დაკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ცვლილებები ბასს 40-ში

ცვლილებები განმარტავენ, რომ საინვესტიციო ქონებაში აქტივის შეტანა ან გატანა შესაძლებელია მხოლოდ ამ აქტივის გამოყენების დადასტურებული ცვლილებების შემთხვევაში. გამოყენების ცვლილებას ადგილი აქვს, როდესაც აქტივი აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას. ხელმძღვანელობის განზრახვა, აქტივის გამოყენებასთან დაკავშირებით არ არის საკმარისი მტკიცებულება აქტივის კლასიფიკაციის მიზნებისათვის. ცვლილებები ძალაში შევა 2018 წლის 1 იანვრიდან და მათი დანერგვა, გარკვეული დამზევებით, შესაძლებელია როგორც პერსპექტიულად ისე რეტროსპექტიულად. კომპანიის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტთან დაკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ცვლილებები ფასს 10-სა და ზასს 28-ში

ცვლილებები ეხება აქტივის მიწოდების ან შეტანის აღრიცხვას ინვესტორსა და მის მეკავშირეს ან ერთობლივ საწარმოს შორის. ცვლილება სპეციფიკურად განიხილავს ოპერაციის შედეგად მიღებული მოგება ზარალის აღრიცხვას. საბჭოს მიერ არა რის დადგენილი ცვლილების ეფექტურობის თაღილი თუმცა დაშვებულია ამ ცვლილებების ადრეული გამოყენება. კომპანიის მენეჯმენტს შეფასებით ამ სტანდარტების დანაერგვა არანაირ გავლენას არ იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული	5,496	4,048
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	1,101	906
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,597	4,954

6. კლიენტებზე გაცემული სესხები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ძირი თანხა	24,788	26,017
დარიცხული პროცენტი	882	1,305
გაუფასურების რეზერვის ანარიცხები	(6,008)	(5,614)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები (ნეტო)	19,662	21,708

უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით კლიენტებზე გაცემული სესხები მოცემულია ქვევით:

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ოქროთი და ძვირფასეულობით	6,838	11,029
უძრავი ქონებით	574	55
სხვა მოძრავი ქონებით	1,006	1,645
არაუზრუნველყოფილი/საბლანკო	17,252	14,593
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	25,670	27,322

საეჭვო მოთხოვნების მოძრაობა შემდეგია:

2017 წლის 31 დეკემბრისათვის

	ოქროთი და ძვირფასეუ- ლობით	უძრავი ქონებით	სხვა მოძრავი ქონებით	არაუზრუნვე ლყოფილი/ საბლანკო	სულ
საეჭვო ვალი წლის დასაწყისში	1,821	5	1,022	2,766	5,614
გაუფასურების ხარჯი (აღდგენა)					629
ჩამოწერა					(235)
საეჭვო ვალი წლის ბოლოს	500	153	591	4,764	6,008

სესხის უზრუნველყოფა

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- ძვირფასი ლითონები;
- უძრავი ქონება;
- მოძრავი ქონება

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. ძირითადი საშუალებები

	შენობა- ნაგებობები	საოფისე მოწყობი- ლობები	სატრანსპორ- ტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილო- ბები	სულ
ისტორიული ღირებულება					
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,100	1,069	207	276	3,652
შეძენა	945	651	515	160	2,271
გასვლა	-	(73)	(56)	-	(129)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,045	1,647	666	436	5,794
შეძენა	169	481	108	142	900
გასვლა	(56)	(368)	(113)	(100)	(637)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,158	1,760	661	478	6,057
ცვეთა:					
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	112	221	31	85	449
პერიოდის ცვეთა	138	180	81	75	474
გასულის ცვეთა	-	(15)	(9)	-	(24)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	250	386	103	160	899
პერიოდის ცვეთა	157	301	145	111	714
გასულის ცვეთა	(7)	(167)	(57)	(46)	(277)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	400	520	191	225	1,336
წმინდა საბალანსო ღირებულება:					
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,988	848	176	191	3,203
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,795	1,261	563	276	4,895
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,758	1,240	470	253	4,721

სესხების უზრუნველსაყოფად კომპანიას იპოთეკით დატვირთული აქვს თავისი შენობა-ნაგებობები ნარჩენი ღირებულებებით: 2,282, 2,465 და 2,585, 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ხსნა-განმარტებით შენიშვნა ნომერ 10-ში - სესხები.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება		
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5	5
შეძენა	253	253
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	258	258
შეძენა	2	2
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	260	260
ამორტიზაცია:		
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1	1
პერიოდის ამორტიზაცია	32	32
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	33	33
პერიოდის ამორტიზაცია	39	39
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	72	72
წმინდა საბალანსო ღირებულება:		
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4	4
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	225	225
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	188	188

9. სხვა აქტივები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ზარალის კომპანსაციის მიზნით თანამშრომელზე გაცემული სესხები (ნეტო)	100	302
გირაოს რეალიზაციიდან წარმოშობილი დებიტორები	154	245
გადახდილი ავანსები	60	157
საოფისე ინვენტარი	14	30
სხვა აქტივები	114	73
სულ სხვა აქტივები	442	807

თანამშრომელზე გაცემული სესხების უზრუნველყოფის სახით კომპანიას დატვირთული აქვს ამ ფიზიკური პირების უძრავი ქონება იპოთეკით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეს სესხები გაუფასურებელია 199 ოდენობით და წარდგენილია განეტებულად.

10. ნასესხები საშუალებები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ვადიანი გრძელვადიანი სესხები		
სესხები კომერციული ბანკებიდან	640	1,899
ვადიანი მოკლევადიანი სესხები		
სესხები ფიზიკური პირებიდან	26,334	22,284
